


კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს მეტრო ჯორჯია

2021 წლის 31 დეკემბერი



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	10

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მზს გრანტ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

სს მეტრო ჯორჯიას დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ სს მეტრო ჯორჯიას („კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აბზაცში განხილული საკითხებისა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად;

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჯგუფის აუდიტორებად დავინიშნეთ 2021 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, შესაბამისად, ვერ მოვახდინეთ საანგარიშგებო წლის დასაწყისში და ბოლოს მარაგების ფიზიკურ დათვლაზე დაკვირვება. ვერც ალტერნატიული პროცედურებით შევძელით საკმარისი მტკიცებულების მოპოვება 2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს არსებული მარაგების რაოდენობასთან დაკავშირებით, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 223,898 ლარით და 276,149 ლარით, თარიღების შესაბამისად. ამ საკითხთან მიმართებაში, ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ საჭიროებს თუ არა, ან რა ოდენობის კორექტირებას საჭიროებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული ან აღურიცხავი მარაგები და მასთან დაკავშირებული მუხლები, რომელიც წარდგენილია სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

როგორც აღწერილია 2.21-ე და მე-13 შენიშვნებში, ჯგუფმა შეასწორა წინა პერიოდის შეცდომები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვან მუხლებზე, რომელიც განხორციელდა 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესწორებისთვის. ჩვენ ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით აღნიშნული შესწორებების სისწორეში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პაუსისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პაუსისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური

ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ჯგუფის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2021 წლის 26 დეკემბერს გასცა არამოდიფიცირებული მოსაზრება მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცით.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებზე ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მიუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.


მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

შპს გრანტ თორნტონის სახელით

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

რეგისტრირებული აუდიტორი (რეგისტრაციის N - SARAS-A-774309)



თბილისი, საქართველო

17 თებერვალი 2023 წელი

სს მეტრო ჯორჯია (ჯგუფი)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2021 წელი
თანხები წარდგენილია ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	მენიშვნა	31 დეკ 2021	31 დეკ 2020
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	594,639	463,372
დებიტორული მოთხოვნები	5	905,279	367,109
გადახდილი ავანსები	6	259,087	153,771
მარაგები	7	223,898	276,149
წინასწარგადახდილი გადასახადები		64,014	53,822
მისაღები პროცენტები		14,005	14,005
		2,060,922	1,328,228
ძირითადი საშუალებები		3,904,786	2,630,676
არამატერიალური აქტივები		26,704	29,616
გრძელვადიანი მოთხოვნები	9	53,237	53,237
		3,984,727	2,713,529
სულ აქტივები		6,045,649	4,041,757
სავაჭრო ვალდებულებები		2,952,901	2,946,251
გადასახდელი ხელფასები		72,056	3,000
გადასახდელი გადასახადები		65,264	24,362
მიღებული ავანსები		151,907	159,954
		3,242,128	3,133,567
სააქციო კაპიტალი		2,200,000	2,200,000
აკუმულირებული მოგება / (ზარალი)		(1,412,770)	(1,291,810)
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		2,016,291	-
		2,803,521	908,190
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		6,045,649	4,041,757

დირექტორი

რობერტ ფერდმანი

დირექტორი

მიხეილ ლობორჯინიძე

ფინანსური დირექტორი

ირაკლი ზაქარაძე

სს მეტრო ჯორჯია (ჯგუფი)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2021 წელი
თანხები წარდგენილია ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	31 დეკ 2021	31 დეკ 2020
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	594,639	463,372
დებიტორული მოთხოვნები	5	905,279	367,109
გადახდილი ავანსები	6	259,087	153,771
მარაგები	7	223,898	276,149
წინასწარგადახდილი გადასახადები		64,014	53,822
მისაღები პროცენტები		14,005	14,005
		2,060,922	1,328,228
ძირითადი საშუალებები		3,904,786	2,630,676
არამატერიალური აქტივები		26,704	29,616
გრძელვადიანი მოთხოვნები	9	53,237	53,237
		3,984,727	2,713,529
სულ აქტივები		6,045,649	4,041,757
სავაჭრო ვალდებულებები		2,952,901	2,946,251
გადახდელი ხელფასები		72,056	3,000
გადახდელი გადასახადები		65,264	24,362
მიღებული ავანსები		151,907	159,954
		3,242,128	3,133,567
სააქციო კაპიტალი		2,200,000	2,200,000
აკუმულირებული მოგება / (ზარალი)		(1,412,770)	(1,291,810)
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		2,016,291	-
		2,803,521	908,190
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		6,045,649	4,041,757

დირექტორი

რობერტ ფერდმანი

დირექტორი

მიხეილ დობორჯგინიძე

ფინანსური დირექტორი

ირაკლი ზაქარაძე

სს მეტრო ჯორჯია (ჯგუფი)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წელი

თანხები წარდგენილია ლარში

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლების ანგარიშგება	შენიშვნა	2021 წელი	2020 წელი
შემოსავალი ბილეთების რეალიზაციიდან		966,360	1,105,817
წმინდა საკომისიო შემოსავალი		879,134	-
საიჯარო შემოსავლები		130,718	32,206
სხვა შემოსავლები		1,058,474	167,637
სულ შემოსავალი		3,034,686	1,305,660
თანამშრომლების ხელფასი და სხვა სარგებელი		(1,046,578)	(829,588)
ცვეთა და ამორტიზაცია		(756,727)	(949,862)
საწვავის ხარჯი		(368,168)	(282,614)
მარაგების ხარჯები		(7,775)	(93,295)
საკომისიო ხარჯი		(98,007)	(105,520)
უიმედო ვალების ხარჯი		(189,044)	(85,173)
სხვა ხარჯები	10	(673,420)	(919,236)
		(3,139,719)	(3,265,288)
საპროცენტო შემოსავალი		7,045	463,726
საპროცენტო ხარჯი		(2,449)	(6,094)
მოგება / (ზარალი) საკუროსო სხვაობიდან		(21,034)	46,594
სხვა შემოსავალი / (ხარჯი)		514	(79,890)
		(15,924)	424,336
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადამდე		(120,957)	(1,535,292)
მოგების გადასახადი		-	(3,534)
პერიოდის მოგება / (ზარალი)		(120,957)	(1,538,826)
სხვა სრული შემოსავლები			
ძირითადი საშუალებების გადაფის ნამეტი		2,016,291	-
სულ სრული შემოსავალი		1,895,334	(1,538,826)

სს მეტრო ჯორჯია (ჯგუფი)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2021 წელი
 თანხები წარდგენილია ლარში

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (არაპირდაპირი მეთოდით)	შენიშვნა	2021 წელი	2020 წელი
საოპერაციო ფულადი ნაკადები			
წლის მოგება / (ზარალი)		(120,961)	(1,538,825)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		756,727	949,862
ძირითადი საშუალებების გასვლა		-	83,934
საპროცენტო ხარჯი		2,449	6,094
საპროცენტო შემოსავალი		(7,045)	(80,639)
საკურსო სხვაობები		21,034	(46,594)
უიმედო ვალები		189,044	85,173
სხვა ფინანსური ხარჯები		-	-
		841,248	(540,995)
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში		(538,170)	1,024,522
ცვლილება გადახდილ ავანსებში		(105,316)	-
ცვლილება წინასწარგადახდილ გადასახადებში		(10,192)	1,336,174
ცვლილება მარაგებში		52,252	(10,444)
ცვლილება სავაჭრო ვალდებულებებში		6,650	(1,702,957)
ცვლილება გადასახდელ ხელფასებში		69,056	-
ცვლილება გადასახდელ გადასახადებში		40,902	-
ცვლილება მიღებულ ავანსებში		(8,047)	-
		348,383	106,300
გადახდილი პროცენტი		-	(4,640)
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		348,383	101,660
საინვესტიციო ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(5,395)	(92,595)
მიღებული პროცენტი		4,130	39,509
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		(1,265)	(53,086)
ფინანსური ფულადი ნაკადები			
გადახდილი დივიდენდები		-	(700,000)
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან		-	(700,000)
საკურსო სხვაობები		(215,851)	(2,463)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა / (კლება)		131,267	(653,889)
ფულადი სახსრების საწყისი ნაშთი		463,372	1,117,261
ფულადი სახსრების საბოლოო ნაშთი		594,639	463,372

სს მეტრო ჯორჯია (ჯგუფი)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2021 წელი
თანხები წარდგენილია ლარში

კონსოლიდირებულ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	სააქციო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება / (ზარალი)	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,200,000	947,017	-	3,147,017
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	(1,538,826)	-	(1,538,826)
<i>სრული შემოსავალი</i>	-	(1,538,826)	-	(1,538,826)
გამოცხადებული დივიდენდები	-	(700,000)	-	(700,000)
<i>ტრანზაქციები მფლობელებთან</i>	-	(700,000)	-	(700,000)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,200,000	(1,291,810)	-	908,190
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	(120,961)	-	(120,961)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარჯი) პერიოდში	-	-	2,016,291	2,016,291
<i>სრული შემოსავალი</i>	-	(120,961)	2,016,291	1,895,330
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,200,000	(1,412,771)	2,016,291	2,803,520

სს მეტრო ჯორჯია (ჯგუფი)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წელი

31-Dec-21

თანხები წარდგენილია ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

სს "მეტრო ჯორჯია" (შემდგომში "კომპანია") დაფუძნდა 2012 წლის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მისი სამართლებრივი ფორმაა: სააქციო საზოგადოება, ხოლო საიდენტიფიკაციო ნომერია: 445410635; კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: გოგოლის ქ. N1, ქ. ბათუმი, საქართველო.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მგზავრების გადაყვანა საქართველოს ტერიტორიასა და საერთაშორისო მიმართულებით.

კომპანიის მფლობელები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყვნენ: სს მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია (50%) და შპს სდფ არეა (50%). კომპანიის დირექტორები არიან: რობერტ ფერდმანი, მიხეილ დობორჯგინიძე, შენოლ აიილდოზ და უმადლეხი მმართველი ორგანოა აქციონერთა კრება.

კომპანიას ყავს 100%-იანი შვილობილი კომპანია სს აჭარა-ტური, საიდენტიფიკაციო ნომრით 245549027. სს აჭარა-ტურის ფაქტობრივი და რეგისტრირებული მისამართია საქართველო, ქ. ბათუმი, მელიქიშვილის ქ. N32/48 და მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტურისტული მომსახურებების გაწევა.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 მოზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს / IFRS) შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2.2 ახალი და შესწორებული სტანდარტების დანერგვა

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა ("IASB") და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს ("IFRIC") მიერ გაცემული ყველა ახალი და გადახედული სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც შესაბამისობაშია მის ფუნქციონირებასთან და ძალაშია ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდისთვის დაწყებული 2021 წლის 1 იანვრიდან.

ცვლილებების არსი და გავლენა განხილულია ქვემოთ:

ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაშია წლიური პერიოდისთვის დაწყებული 2021 წლის 1 იანვრიდან

ახალი სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც განხილულია ქვემოთ, პირველად შემოღებულ იქნა 2021 წელს. მათ არ აქვთ მატერიალური ზეგავლენა კომპანიის ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

სტანდარტი

სხვადასხვა

სტანდარტის ან ინტერპრეტაციის აღწერა

საპროცენტო განაკვეთის შეფასების უტაპი 2 (ცვლილებები ფასს 9-ში, ბასს 39-ში, ფასს 16-ში, ფასს 4-ში, ფასს 7-ში)

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის გაიცა რიგი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა და არც კომპანიას გამოუყენებია მანამდე.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი განცხადების მიღება მოხდება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის პირველი პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება გამოცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან, ან მას შემდეგ.

მენეჯმენტი არ ითვალისწინებს ქვემოთ მოცემული სტანდარტებითა და დამატებითი გამოწვეულ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

სტანდარტი	სტანდარტის სათაური ან ინტერპრეტაცია	ძალაშია საანგარიშგებო პერიოდის საწყისი
ფასს 16	COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა 30 ივნისი 2021	1 აპრილი
ფასს 3	მითითებები კონცეპტუალურ ჩარჩოზე (ცვლილებები ფასს 3-ში)	1 იანვარი
ბასს 16	შემოსავალი მიზრობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები)	1 იანვარი
ბასს 37	მავალდებულებელი კონტრაქტები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯები (ბასს 37-ის ცვლილებები)	1 იანვარი
ფასს 1, ფასს 9, ბასს 41, ფასს 16	ფასს-ის 2018-2020 წლების ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება (შესწორებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ბასს 41-ში, ფასს 16-ში)	1 იანვარი 2022
ფასს 17	სადაზღვევო ხელშეკრულებები	1 იანვარი
ფასს 4	ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებითი გათავისუფლების გაგრძელება (ცვლილებები ფასს 4-ში)	1 იანვარი
ფასს 17	ფასს 17-ისა და ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენება - შედარებითი ინფორმაცია (ცვლილებები ფასს 17-ში)	1 იანვარი
ბასს 1	ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი (ცვლილება ბასს 1-ში)	1 იანვარი
ბასს 12	ერთი ოპერაციის შედეგად წარმოქმნილი აქტივებისა და ვალდებულებების გადავადებული გადასახადი (ცვლილება ბასს 12-ში)	1 იანვარი

2.3 მნიშვნელოვანი სადრიცხო შეფასებები

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან.

შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სადრიცხო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სადრიცხო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2.4 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სადრიცხო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის.

როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

2.5 ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. აქციონერებს სურვილი აქვთ განავითარონ საქმიანობა საქართველოში. კორონავირუსმა გავლენა მოახდინა ჯგუფის საოპერაციო საქმიანობაზე და ეფექტურობაზე, რის გამოც ჯგუფმა 2020 წლის ფინანსურ შედეგები უარყოფითად დაასრულა. 2021 წელს მთავრობის მიერ მოხსნილმა მუხუღდებმა უზრუნველყო ჯგუფის ძირითადი საქმიანობის განახლება და დაგეგმილი შემოსავლების მიღება.

2.6 შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ

დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმომოხილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“.

უცხოური ვალუტაში დენომინირებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

საანგარიშგებო თარიღისათვის ძირითადი ვალუტების კურსები ქართულ ლართან მიმართებაში იყო შემდეგი:

ვალუტა	31 დეკ 2021	31 დეკ 2020
აშშ დოლარი	3.0976	3.2766
ევრო	3.5040	4.0233

2.7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან ან შეფასებული ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოყლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

გამოყენებული ცვეთის ნორმებია:

სატრანსპორტო საშუალებები	7 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5-10 წელი
ავეჯი და ინვენტარი	4 წელი
სხვა	4 წელი

2021 წლის დეკემბერში სს მეტრო ჯორჯიას ხელმძღვანელობამ ანგარიშგებაში აქტივების სამართლიან ღირებულების ასახვის მიზნით მოახდინა სატრანსპორტო საშუალებების კლასის გადაფასება.

2.8 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, რაც დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე და აღწერილია ქვემოთ.

რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღით გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიური ბაზარი გახლავთ ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გავრცელებით საწარმოს ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის, გამოიყენება შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან მოდელები რომლებიც ეფუძნება ე.წ. „გამჭიდილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებული ოპერაციებს ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემებს.

რეალური ღირებულების შეფასებების გაანალიზება ხდება რეალური ღირებულების შემდეგი იერარქიის გამოყენებით:

- პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება,
- მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დავკირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და
- მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დავკირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დავკირვებადი ინფორმაცია).

რეალური ღირებულების ღირებულების იერარქიაში ცვლილებები ხორციელდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გარიგების დანახარჯები გახლავთ დამატებით დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები) გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა აღმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება („AC“) არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას, გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი, და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით („ECL“).

დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი უკონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საზღვრის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი, ისე რომ, მიღწეული იქნეს მუდმივი პროცენტი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყვე განაკვეთზე, ან სხვა ცვალებადზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

თავდაპირველი აღიარება: „ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით“ (FVTPL) თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყისი აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით (AC) და სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციებისთვის, რომლებიც „შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ (FVOCI), რაც გამოიწვევს მცირეულ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივების, რომელთა მიწოდება მოითხოვება რეგულაციებით ან ბაზრის წესებით („ჩვეულებრივი“ შესყიდვები და გაყიდვები) გარკვეულ ვადებში, შეძენა და გაყიდვა აისახება ვაჭრობის თარიღით: ეს ის თარიღია, როდესაც კომპანიამ აიღო ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულება. ყველა სხვა შეძენა აღიარდება მაშინ, როდესაც საწარმო გახდება მოცემული ინსტრუმენტის სახელმძღვანელო დებულების მონაწილე მხარე.

შეფასების კატეგორიები: კომპანია ფინანსურ აქტივებს შემდეგი შეფასების კატეგორიებად აჯგუფებს: „რეალური ღირებულებით, „მოგება-ზარალში ასახვით“ („FVTPL“), „რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ („FVOCI“) და ამორტიზებული ღირებულებით („AC“). სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია (i) დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვისთვის კომპანიის მიერ გამოყენებულ ბიზნეს-მოდელზე; და (ii) აქტივის ფულადი ნაკადის მახასიათებლებზე.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ბიზნეს-მოდელი. ბიზნეს-მოდელი ასახავს, როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია (i) აქტივიდან მხოლოდ სახელმძღვანელო ფულადი ნაკადების მიღება („სახელმძღვანელო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ფლობილი“), თუ (ii) როგორც სახელმძღვანელო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება („სახელმძღვანელო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად ფლობილი“) ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნეს-მოდელში და შეფასდება „რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით“.

კომპანიის აქტივებისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს-მოდელი განისაზღვრება კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. კომპანიის მიერ ბიზნეს-მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს: პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსული გამოცდილება იმასთან დაკავშირებით, ფულადი ნაკადები როგორ მიიღებოდა შესაბამისი აქტივიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება.

ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს-მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელმწიკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელმწიკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია შეაფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებულ პროცენტის გადახდას (“SPPI”). წარმოებულ ფინანსური აქტივებთან დაკავშირებით გაითვალისწინება მათი მთლიანი ფულადი ნაკადები შესაბამისობა SPPI მახასიათებელთან. შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს, სახელმწიკრულებო ფულადი ნაკადები საბაზისო სასესხო ხელმწიკრულების თანმიმდევრულია თუ არა, ანუ პროცენტში მხოლოდ საკრედიტო რისკი და ფულის დროითი ღირებულება გათვალისწინებული თუ სხვა საბაზისო რისკები და მოგების მარგა. როდესაც სახელმწიკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელმწიკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით“. SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL). კომპანია ფლობს ორი ტიპის ფინანსურ აქტივის, რომელთათვისაც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი - (i) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და (ii) ფულადი სახსრები და მათ ექვივალენტი. კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებითა და ვადაგადაცილებული დღეების.

ფინანსური აქტივები - ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების დონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელმწიკრულებო ვადა დადგა, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივები გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულადი ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაეცემა და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული. კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც მხარეს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში არადაკავშირებულ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური აქტივები – მოდიფიცირება. ზოგჯერ კომპანია ფინანსური აქტივების სახელმწიკრულებო პირობებთან დაკავშირებით ხელახლა მოილაპარაკებს ან სხვაგვარად ახორციელებს მის მოდიფიცირებას. კომპანია აფასებს, სახელმწიკრულებო პირობების ეს მოდიფიცირება არსებითია თუ არა, სხვა ფაქტორებთან ერთად შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ნებისმიერი ახალი სახელმწიკრულებო პირობა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივის რისკის პროფილზე (მაგ., მოგების წილი ან კაპიტალზე დაფუძნებული უკუგება), საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი ცვლილება, სხვა ვალუტაში გამოსახვა, ახალი გირაო ან საკრედიტო გაუმჯობესება, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკზე ან სესხის მნიშვნელოვნად გაზრდა, როდესაც მსესხებელი ფინანსურ სირთულეებს არ განიცდის.

თუ მოდიფიცირებული პირობები არსებითად განსხვავებულია, თავდაპირველი აქტივიდან ფულად ნაკადებზე უფლება შეწყდება და კომპანია შეწყვეტს თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას და ახალ აქტივს აღიარებს რეალური ღირებულებით. აღიარების თარიღად მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების თარიღი გაუფასურების შემდგომი გამოთვლის მოზნებისათვის, მათ შორის იმის განსაზღვრისთვის, ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან გაზრდას. კომპანია შეაფასებს ასევე ახალი სესხი ან სავალო ინსტრუმენტი აკმაყოფილებს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდის (“SPPI”) კრიტერიუმებს. აღიარებაშეწყვეტილი თავდაპირველი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალი, მნიშვნელოვნად მოდიფიცირებული აქტივის რეალურ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს განსხვავება მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალ-ოპერაციას. ისეთ ვითარებაში, როდესაც ხელახლა მოლაპარაკება გამოწვეული იყო მხარის ფინანსური სირთულეებით და თავდაპირველად შეთანხმებული გადახდების განხორციელების უუნარობით, კომპანია აღიარებს თავდაპირველ და გადასინჯულ ფულად ნაკადებს, რათა შეაფასოს აქტივის რისკები და უკუგება მნიშვნელოვნად განსხვავებულია თუ არა ხელმწიკრულების მოდიფიცირების შედეგად. თუ რისკები და უკუგება არ იცვლება, მაშინ მოდიფიცირებული აქტივი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება თავდაპირველი აქტივისგან და მოდიფიცირება აღიარების შეწყვეტას არ გამოიწვევს. კომპანია ხელახლა ითვლის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელმწიკრულებო ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ან კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით შეძენილი ან შეძენილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის (“POCI” აქტივები)) დისკონტირებულ თანხას და მოდიფიცირების შემოსულობა ან ზარალს აღიარებს მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც „შემდგომი ამორტირებული ღირებულებით“ („AC“), გარდა (i) „რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა“ (“FVTPL”): ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭრო ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიციები), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური საგარანტიო ხელმწიკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება). კომპანიასა და მის თავდაპირველ გამსესხებლებს შორის მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტების გაცვლა, ასევე არსებული ფინანსური ვალდებულებების პირობების მნიშვნელოვანი მოდიფიცირება, აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია, თუ ახალი პირობებით ფულადი ნაკადების დისკონტირებული ახლანდელი ღირებულება, გადახდილი საკომისიოს ჩათვლით და მიღებული საკომისიოს გამოკლებით, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, სულ მცირე 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ახლანდელი ღირებულებისგან. ამასთან, ითვალისწინებენ სხვა ხარისხობრივ ფაქტორებსაც, როგორიცაა მაგალითად ვალუტა, რომელიც ინსტრუმენტია გამოსახული, საპროცენტო განაკვეთის ტიპის ცვლილება, ინსტრუმენტის კონვერსიის ახალი პირობები და სესხის პირობების ცვლილება. როდესაც სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება დაფარვის სახით აღირიცხება, ნებისმიერი გაწეული დანახარჯი ან საკომისიო აღიარდება დაფარვისას წარმოქმნილ შემოსულობის ან ზარალის ნაწილად. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება დაფარვის სახით არ აღირიცხება, ნებისმიერი დანახარჯი ან საკომისიოთი კორექტირდება ვალდებულების საბალანსო ღირებულება და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილ ვადაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუნარიობა ან გაკოტრება.

2.9 ნასესხები სახსრები.

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2.10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საყრდენით პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს. საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

2.11

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საყრდენით პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ადგილობრივ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება იმავე წელს სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

2.12 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

არამატერიალური აქტივები

2.13

კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ პროგრამულ უზრუნველყოფას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება მათი შეძენისა და გამოსაყენებლად მომზადებისთვის გაწეული დანახარჯების საფუძველზე.

დანახარჯები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამულ უზრუნველყოფასთან, რომელსაც აკონტროლებს კომპანია, აღირიცხება არამატერიალური აქტივების სახით, თუ მოსალოდნელია ნაზრდი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა. კაპიტალიზებული დანახარჯები მოიცავს პროგრამულ

უზრუნველყოფის შექმნაზე მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯებს და ზედნაღები ხარჯების შესაბამის ნაწილს. ამ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი, მაგალითად, მისი მოვლა-შენახვის ხარჯები, გაწევისთანავე აისახება ხარჯებში.

2.14 იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანია განიხილავს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. იჯარა განისაზღვრება, როგორც "ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს აქტივის კონტროლის უფლების გადაცემას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

იჯარის აღიარება და შეფასება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით) კომპანია, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვლილის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო აღრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთის საშუალებით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტით. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

კომპანია, როგორც მეიჯარე

როგორც მეიჯარე კომპანია ახდენს იჯარის კლასიფიკაციას. იჯარა შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც საოპერაციო ან როგორც ფინანსური.

2.15 მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

2.16 ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში

კომპანია შვილობილ კომპანიაში ინვესტიციებს აღიარებს თავდაპირველი ღირებულებით, ინვესტიციის გაუფასურების გათვალისწინებით. შვილობილ კომპანიაში ინვესტიციების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხორციელდება ყოველი ანგარიშგების წარდგენის დღისთვის, რათა განსაზღვრულ იქნას ადგილი აქვს თუ არა გაუფასურებას. თუ ადგილი ექნება ამგვარ გაუფასურებას, ხდება აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში, შვილობილ კომპანიაში ინვესტიციების საბალანსო ღირებულებასა (უშუალოდ გაუფასურებამდე მომენტში) და მის ანაზღაურებად ღირებულებას შორის სხვაობის თანხით.

2.17 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდ ფასი გაიზარდა, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

2.18 კაპიტალი

სააქციო კაპიტალი წარმოადგენს გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებას.

კომპანიის მიერ გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები კლასიფიცირდება როგორც საკუთარი კაპიტალი, სანამ ისინი არ დააკმაყოფილებენ ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების განმარტებას. კომპანიის ჩვეულებრივი აქცია კლასიფიცირდება, როგორც საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტი.

საბაზისო შემოსავალი (ზარალი) ერთ აქციაზე გაიანგარიშება საწარმოს ჩვეულებრივი აქციების მფლობელებისათვის განკუთვნილი მოგების გაყოფით მოცემულ პერიოდში მიმოქცევაში არსებული ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილ რაოდენობაზე.

დაგროვილი მოგება/ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებას ან აკუმულირებულ ზარალს.

დივიდენდები ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდება.

2.19 შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარებისათვის კომპანია მიყვება შემდეგ 5-ეტაპიან პროცესს:

1. მომხმარებელთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
2. შესასრულებელი ვალდებულების იდენტიფიცირება
3. ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა
4. ტრანზაქციის ფასის გამოყენება შესასრულებელი ვალდებულებისთვის
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც შესასრულებელი ვალდებულება დაკმაყოფილდა

შემოსავალი აღიარდება ან დროის კონკრეტულ მომენტში ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დაკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებებს შეპირებული საქონლის გადაცემით, ან მომსახურების გაწევით მომხმარებლისათვის.

საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი აღიარდება იმ დროის მომენტში, როდესაც ხდება საქონელზე კონტროლის გადაცემა, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, როცა მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. ფასდათმობით გაყიდვები აღიარდება ხელშეკრულებაში მითითებული ფასის საფუძველზე, შეფასებული ფასდათმობის გამოყლებით.

მგზავრთა გადაყვანის მომსახურების გაწევიდან შემოსავალი აღიარდება მომსახურების დასრულებისას, რადგანაც მომსახურების გაწევის პერიოდი მოკლეა და კომპანიის მიერ აღებული ვალდებულება შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მგზავრი დანიშნულების ადგილზე ჩავა.

კომპანია საიჯარო შემოსავლებს აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მისი საოპერაციო ხასიათიდან გამომდინარე. ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული ხარჯები ჩაირთვება იჯარით გაცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაში და აღიარდება იჯარის ვადის განმავლობაში, საიჯარო შემოსავლის შესაბამისად. ბრუნვაზე დამოკიდებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება შემოსავლად იმ საანგარიშგებო პერიოდში როდესაც ის იქნა გამოუმუშავებული.

2.20 მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი დაბეგვრის მოდელი, რომელიც მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან ("მოგების გადასახადის ესტონური მოდელი") გულისხმობს კორპორატიული გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან კორპორატიულ გადასახადის განაკვეთს 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ განაწილებულ ან დივიდენდის სახით გაცემულ მოგებაზე. მოგების გადასახადი -15% გადაიხდება მთლიან ღირებულებაზე (მაგალითად, ნეტო დივიდენდები უნდა გაიზარდოს გამოქვეთული გადასახადის 5%-ით, ასეთის არსებობის შემთხვევაში და იყოფა 0.85-ზე) ფიზიკურ პირებზე, ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გადახდის მომენტში. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებული მოგებიდან, იურიდიული პირისთვის გადახდილი დივიდენდი განთავისუფლებულია გადასახადისგან.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი ასევე გადაიხდება ხარჯებზე ან სხვა გადახდებზე, რომლებიც დაკავშირებულია არაეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდებას და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. შედავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციის მქონე ქვეყნებში რეგისტრირებული პირებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა მსგავსი გარიგებები, ასევე რეზიდენტებსა, თუ არარეზიდენტებზე გაცემული სესხები, დაუყოვნებლივ იბეგრება. ასეთი გადასახადები სხვა გადახდებთან ერთად, გამოყლებული შედავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციის მქონე ქვეყნებში რეგისტრირებული პირებისთვის გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტები, ასევე ფიზიკური პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების დაბრუნება, აღირიცხება საოპერაციო ხარჯების - "გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა"- მუხლში.

აღნიშნული მოდელიდან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგებაში არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებს და მათ დასაბეგრ ბაზებს შორის. შესაბამისად ბასს 12 ის მოხედვით, არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

2.21 ფინანსური ანგარიშგების განახლება

ჯგუფს შეაქვს ცვლილებები ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაში და ასწორებს წინა პერიოდის შეცდომებს რეტროსპექტულად ფინანსური ანგარიშგების პირველ კვარტალში. ცვლილებების შეტანა ხდება შემდგენიარად: შედარებითი თანხების აღდგენა წინა პერიოდებიდან რომლებშიც მოხდა შეცდომა; ან თუ შეცდომა მოხდა უფრო ადრეულ პერიოდში, ხდება აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის საწყისი ბალანსების განახლება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ისე თითქმის შეცდომის გასწორება მოხდა იმ პერიოდის განმავლობაში როდესაც ამის აუცილებლობა გაჩნდა. აქედან გამომდინარე, შესწორებული თანხის ოდენობა შედის იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში რომელშიც ის განხორციელდა.

საწარმო საადრიცხო პოლიტიკის გამოყენებისას ღირებულებებს მოეთხოვებათ განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ შესაფერისია. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

აღნიშნული შეფასებებისა და საბაზისო დაშვებების შესწორება მუდმივად ხდება. საადრიცხო შეფასებების ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესწორდა შეფასება, თუ ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე ან შესწორების პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

დაბეგვრა

ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანიას დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

საექვო ვალების ანარიცხები

კომპანია საექვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საექვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძველად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საექვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

4	ფული და ფულის ეკვივალენტები	31 დეკ 2021	31 დეკ 2020
	ფული სალაროში	69,381	149,063
	ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე	74,812	303,366
	ფული ბანკში სადეპოზიტო ანგარიშებზე	450,446	10,943
	სულ	594,639	463,372
	ფულისა და ფულის ეკვივალენტების ნაშთის შემადგენლობა ვალუტების მიხედვით შემდეგია:		
	ვალუტა	31 დეკ 2021	31 დეკ 2020
	ლარი	124,581	433,189
	აშშ დოლარი	469,785	16,903
	ევრო	(1)	12,517
	თურქული ლირა	274	763
	სულ	594,639	463,372
5	დებიტორული მოთხოვნები	31 დეკ 2021	31 დეკ 2020
	საექვრო მოთხოვნები	1,246,141	1,063,405
	მისაღები საიჯარო გადასახდელები	-	42,694
	სხვა მისაღები თანხები	75	10,628
	საექვრო მოთხოვნების რეზერვი	(340,937)	(749,618)
	სულ	905,279	367,109
6	გადახდილი ავანსები	31 დეკ 2021	31 დეკ 2020
	წინასწარ გადახდილი დივიდენდები	-	-
	მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	259,019	153,771
	სხვა ავანსები	68	-
	სულ	259,087	153,771
7	მარაგები	31 დეკ 2021	31 დეკ 2020
	ავტობუსების სათადარიგო ნაწილები	64,683	109,272
	საოფისე და საკანცელარიო მასალები	1,397	2,060
	ბილეთები	43,067	49,724
	საწვავი	1,657	1,242
	სხვა	113,094	113,851
	სულ	223,898	276,149

	მიწა	შენობები	სატრანსპორტო საშუალებები	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	იჯარის კეთილმოწყობა	ინსტრუმენტები და სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება							
2019 წლის 31 დეკემბერი	171,382	1,086,578	6,002,893	147,685	93,289	13,448	7,515,275
დამატებები	-	-	38,370	39,432	-	60	77,862
გასვლები	-	-	-	(38,649)	(60,051)	-	(98,700)
2020 წლის 31 დეკემბერი	171,382	1,086,578	6,041,263	148,468	33,238	13,508	7,494,437
დამატებები	-	-	-	13,328	-	-	13,328
გასვლები	-	-	-	(5,932)	-	-	(5,932)
გადაფასება	-	-	2,016,291	-	-	-	2,016,291
2021 წლის 31 დეკემბერი	171,382	1,086,578	8,057,554	155,864	33,238	13,508	9,518,124
აუმჯობესებული ცვეთა							
2019 წლის 31 დეკემბერი	-	133,483	3,725,373	68,662	42,383	3,299	3,973,200
წლის ცვეთა	-	44,231	874,603	30,989	4,748	1,508	956,079
გასული აქტივების აუმჯობესებული ცვეთა	-	-	-	(37,834)	(27,684)	-	(65,518)
2020 წლის 31 დეკემბერი	-	177,714	4,599,976	61,817	19,447	4,807	4,863,761
წლის ცვეთა	-	44,231	669,484	28,657	4,736	2,468	749,577
ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	-	221,945	5,269,460	90,474	24,183	7,275	5,613,338
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2019 წლის 31 დეკემბერი	171,382	953,095	2,277,520	79,023	50,906	10,149	3,542,075
2020 წლის 31 დეკემბერი	171,382	908,864	1,441,287	86,651	13,791	8,701	2,630,676
2021 წლის 31 დეკემბერი	171,382	864,633	2,788,094	65,389	9,054	6,233	3,904,786

9	გრძელვადიანი მოთხოვნები		
---	-------------------------	--	--

ჯგუფმა (შვილობილმა კომპანია სს აჭარა-ტურმა) 2017 წლის მარტში გასცა სესხი ერთ-ერთ მსესხებელ ქართულ კომპანიაზე. 2018 და 2019 წლების განმავლობაში მსესხებლის მხრიდან არ მოხდა სესხის თანხების დაბრუნება, რაც სესხის პირობების მიხედვით უნდა განხორციელებულიყო, რის გამოც ჯგუფმა (შვილობილმა კომპანია სს აჭარა-ტურმა) დაიწყო სასამართლო დავა, რომელიც მიმდინარე პერიოდისთვის დასრულებულია და სასამართლოს მიერ მსესხებელს დაეკისრა ძირისა და პროცენტის გადახდა.

სასამართლო გადაწყვეტილების მიუხედავად, თანხა დღემდე გადაუხდელია, თუმცა ჯგუფის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მოთხოვნა არ უნდა გაუფასურდეს, რადგან მსესხებელ კომპანიას თურქეთიდან იჯარით ყავს შემოყვანილი იახტა, რომელიც გაცემული აქვს სხვა კომპანიაზე და ჯგუფის შვილობილი კომპანია სს აჭარა ტურის მენეჯმენტის მიერ დაძრულია საკითხი, რომ აღნიშნული იახტა დაუბრუნდეს მსესხებელს და შემდეგ მმართველობაში აიღოს სს აჭარა ტურმა, რა დროსაც მოხდება სესხის ძირითადი თანხის და პროცენტის გაქვითვა.

მოთხოვნა კლასიფიცირებულია გრძელვადიანად, რადგან კომპანია ვარაუდობს, რომ მსესხებლის მიერ ვალდებულების დაფარვა მოხდება საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვეზე მეტი ხნის შემდეგ.

10	სხვა ხარჯები	2021 წელი	2020 წელი
	ტენდერებში მონაწილეობის ხარჯები	47,929	-
	პარკინგის ხარჯები	34,248	44,733
	საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	28,133	1,890
	საიჯარო ხარჯები	157,349	53,419
	კომუნალური და კომუნიკაცია	30,632	33,310
	ტრანსპორტირების ხარჯები	41,025	48,031
	ბანკის მომსახურება	22,484	16,628
	დაზღვევა	8,706	412,717
	დაცვის ხარჯები	3,846	3,407
	საოფისე ხარჯები	7,125	2,757
	რეკლამა	7,066	7,345
	გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	26,626	19,315
	შეკეთების ხარჯები	151,298	10,532
	ძირითადი საშუალებების გაუფასურების ხარჯი	-	-
	წარმომადგენლობითი ხარჯები	10,578	105,360
	პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერის ხარჯები	30,113	8,644
	სხვა ხარჯები	66,263	151,148
	სულ	673,420	919,236

11	ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ვალუტების მიხედვით					
მუხლი	აშშ დოლარი	ევრო	თურქული ლირა	ლარი	სულ	
ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტები	469,573	(1)	274	101,300	571,146	
სავაჭრო მოთხოვნები	105,089	-	-	262,852	367,940	
მისაღები პროცენტი	-	-	-	14,005	14,005	
გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები	-	-	-	53,237	53,237	
	574,662	(1)	274	431,394	1,006,328	
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო ვალდებულებები	22,657	0	-	315,370	338,027	
გადასახდელი დივიდენდები	-	-	-	1,239,406	1,239,406	
მოკლევადიანი სესხები	-	-	-	-	-	
გადასახდელი პროცენტი	-	-	-	-	-	
გრძელვადიანი სესხები	-	-	-	-	-	
გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულებები	-	-	-	-	-	
	22,657	0	-	1,554,776	1,577,433	
წმინდა პოზიცია	552,005	(1)	274	(1,123,382)	(571,105)	

მუხლი	შვილობი ლი საწარმო	სათაო საწარმო	ერთობლივი კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	საბოლოო ბენეფიციარი	ძირითადი მენეჯმენტი	სულ
ბალანსები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში						
დებიტორული მოთხოვნები	3,587	-	-	85,954	-	89,540
მისაღები დივიდენდები	1,239,406	-	-	-	-	1,239,406
გადახდილი ავანსები	-	-	-	-	-	-
მისაღები პროცენტები	-	-	-	-	-	-
ინვესტიციები სხვა კომპანიების კაპიტალში	1,100,000	-	-	-	-	1,100,000
გრძელვადიანი მოთხოვნები	-	-	-	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	-	3,587	2,792,494	-	-	2,796,080
გადასადელი ხელფასები	-	1,239,406	-	-	-	1,239,406
გადასადელი დივიდენდები	-	-	-	-	-	-
მიღებული ავანსები	-	-	5,997	-	-	5,997
მოკლევადიანი სესხები	-	-	-	-	-	-
გადასადელი პროცენტი	-	-	-	-	-	-
გრძელვადიანი სესხები	-	-	-	-	-	-
გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულებები	-	-	-	-	-	-
მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახული ტრანზაქციები						
რეალიზაცია	-	-	-	-	-	-
შეძენები	-	189,362	10,200	-	-	199,562
ხელფასები და სხვა ბენეფიტი	-	-	-	-	83,613	83,613

13 ფინანსური ანგარიშგების განახლება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობამ გამოავლინა შეცდომები შედარებით ინფორმაციაში კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მნიშვნელოვან მუხლებზე. მენეჯმენტმა შეცდომების შესასწორებლად გადაიანგარიშა შესაბამისი ინფორმაცია.

შემდეგი ცხრილები აჩვენებს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განხორციელებულ

შესწორებებს და რეკლასიფიკაციებს:

2020 წლის 31 დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება გამოიყურება შემდეგნაირად:

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი (აღრე წარდგენილი)	შესწორებები	2020 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარი შებული)
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	463,372	-	463,372
შეზღუდული ფული	-	-	-
დებიტორული მოთხოვნები	119,455	247,654	367,109
მისაღები დივიდენდები	-	-	-
გადახდილი ავანსები	-	153,771	153,771
მარაგები	145,098	131,051	276,149
წინასწარგადახდილი გადასახადები	46,591	7,231	53,822
მისაღები პროცენტები	-	14,005	14,005
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-	-
	774,516	553,712	1,328,228
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	2,715,197	(84,521)	2,630,676
საინვესტიციო ქონება	-	-	-
არამატერიალური აქტივები	29,616	-	29,616
ინვესტიციები სხვა კომპანიების კაპიტალში	-	-	-
გრძელვადიანი მოთხოვნები	-	53,237	53,237
	2,744,813	(31,284)	2,713,529
სულ აქტივები	3,519,329	522,428	4,041,757

მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	3,116,498	(170,247)	2,946,251
გადასახდელი ხელფასები	-	3,000	3,000
გადასახდელი გადასახადები	-	24,362	24,362
გადასახდელი დივიდენდები	-	-	-
მიღებული ავანსები	-	159,954	159,954
მოკლევადიანი სესხები	-	-	-
გადასახდელი პროცენტი	-	-	-
	3,116,498	17,069	3,133,567

გრძელვადიანი ვალდებულებები

გრძელვადიანი სესხები	-	-	-
გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულებები	-	-	-
ანარიცხები	-	-	-
	-	-	-

კაპიტალი და რეზერვები

სააქციო კაპიტალი	2,200,000	-	2,200,000
აკუმულირებული მოგება / (ზარალი)	(1,797,169)	505,359	(1,291,810)
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	-	-	-
	402,831	505,359	908,190

სულ კაპიტალი და ვალდებულებები

3,519,329	522,428	4,041,757
------------------	----------------	------------------